საქართველოს სოც.-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტია
დრ. მთავარ კომიტეტის ორგანი

# სოციალისტ-ფედერალისტი

შაბათი ივნისის 25
1921 წ.
ფასი 200 მანეთი

რედაქციის მისამართი:
დამფუძნებელი კრების ქ. № 8
ტელეფონი 12—29

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეუღლე ანნა ფირანის ასული გუდაძე მწუხარებით აუწყებს ნათესავთა და ნაცნობთა რომ შაბათს ივნისის 26-ს დანიშნულია 40 დღის წირ. პან. პეტრე პავლეს ეკლესიაში დაუვიწყარის

ალექსანდრე (სანდრო) ივანის ძე გუდაძის

სულის მოსახსენებლად. დასაწ. 10 საათზე. 1069

კვირას, ივნისის 26-ს დიდუბის ეკლესიაში დანიშნულია წლის წირვა და პანაშვიდი

ექიმ დავით იოანნეს ძის პერესელიძის

სულის მოსახსენებლად. რასაც აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ ქვრივი მისი ალექსანდრა შვილებითურთ. 1071

## განცხადება

კვირას, ივნისის 26-ს დილის 12 საათზე დანიშნულია საქართველოს ხელოვანთა კავშირის წევრთა საზოგადო

## „საგანგებო კრება"

დღის წესრიგი

1. მხატვართა სექციის მიერ წარმოდგენილ მთავარ კომიტეტის წევრთა დამტკიცება.
2. მხატვართა, მსახიობთა და მუსიკოსთა სექციების მიერ წარმოდგენილ მთავარი კომიტეტის წევრთა კანდიდატების დამტკიცება.
3. კავშირის წესდების მე-7 მუხლისთვის საორგანიზაციო შენიშვნის დამტკიცება.

დასწრება ყველასთვის სავალდებულოა.

10.4 პრეზიდიუმი.

## ღია ბარათი

**სამუსლიმანო საქართველოს მეჯლისის თავმჯდომარეს ახან ეფენდი ლორთქიფანიძეს.**

მეჯლისის თავმჯდომარის თანამდებობა, რომელიც უბოძათ მევალეებს, როგორც ცხოვრების პირ-ჩორთის მეთვალყურეს, სალამიც გიძღვნათ, როგორც პირველ მუსლიმან ქართველს და ჩემი წრფელი გულის ნადებიც გაგიზიაროთ.

უპირველეს ყოვლისა საჭიროა ყურადღება მიექცეს მეჯლისის მოქმედების რაიონსა, აქნობამდე გვესმოდა, რომ იყო სამუსლიმანო საქართველო და სამუსლიმანო საქართველოს მეჯლისი, დღეს კი შემოუღიათ „აჭარის" მეჯლისი. ეს სახელწოდება ან ბოროტგანზრახვით, ან დაუდევრობით არის შემოღებული. როგორც თქვენც კარგად მოგეხსენებათ, აჭარის რაიონით რომ განისაზღვროს მეჯლისის მოქმედება, მაშინ ბათუმი გარეთ დარჩება, რადგანაც ბათუმი უფრო ქობულეთშია. თუ ჰბრძანებთ, ქობულეთი აჭარაში შედის, შეცდომილია, რადგანაც ქობულეთი და აჭარა, თუმცა ორივე მუსლიმან ქართველთ სამკვიდრო, ისეთივე ცალცალკე ქვეყნების სახელებია, როგორც გურია და იმერეთი. შავშეთი ლივანა და სხვა ქვეყნები კიდევ სამუსლიმანო საქართველოსი სად უნდა წავიდეს, ვის უნდა გადაეცეს? ბევრჯერ მომიგონებია ძველი შედგენილობის მეჯლისისთვის, რომ სამუსლიმანო საქართველოს ტერიტორიის საკითხისთვის ყურადღება მიექცია და სამუსლიმანო საქართველოს არა თუ ჩვენი რესპუბლიკის სამზღვრებში მყოფი ნაწილები შემოეკრიფა, არამედ დავაც განეცხადებინა არტაანთ-ჰანეთ-ისპირ-თორთუმის რაიონებზე, რაც დღეს ოსმალებს უჭირავს და რაც ძირითადი საქართველოა ისტორიულ გეოგრაფიულად და მეტწილად ეთნოგრაფიულადაც, მაგრამ მეჯლისმა ვერც ერთი საქმე მოახერხა, ვერც მეორე. ადმინისტრატიული ერთეული ავტონომიის კი არა უბრალო მაზრის გამგეობის მოსაწყობადაც არ ივარგებს, თუ მისი რაიონი საკმაო და გამორკვეული სამზღვრებით არ არის შემოფარგლული.

სამუსლიმანო საქართველო არა თუ სივრცით, არამედ მნიშვნელობითაც დიდია. იგია აკვანი ქართული სწავლა-განათლების, ქართული კულტურისა. ოსმალების გაბატონებამდე, XVI საუკუნემდე რაც კი რამ კარგი ჰქონია ძველ საქართველოს, ცხოვრების რა დარგიც უნდა აიღოთ, მოდიოდა იმ კუთხიდან, რომელსაც დღეს სამუსლიმანო საქართველო ეწოდება. უკულტურო და ველურმა ოსმალეთმა თავისი ბატონობა ცეცხლითა და მახვილით დაამყარა, შოთა რუსთველის სამშობლოში. ეს არ იკმარა და შეეცადა, ენაც ამოეგლიჯა ქართველი ხალხისთვის ქართული კულტურის გასაოცარი ძეგლების და სახელმწიფო დაწესებულებათა მოსპობასთან ერთად, მაგრამ ვერ მოახერხა. ქართული ენა მაინც შერჩა დღევანდელი მუსლიმანი ქართველების დიდძალ უმეტესობას მაინც, აგრეთვე ზნე ჩვეულება და სხვა რამ მრავალი, რაც აახლოვებს ერთმანეთთან მუსლიმან და ქრისტიან ქართველებს.

მაგრამ უმთავრესი საკითხია, რომ გაგვე[illegible] წესრიგი ავტონომიური ცხოვრების ფართო საფუძველი.

ახალი მეჯლისის გახსნის დღეს ერთი ორატორთაგანი გირჩევდათ შვილები შეგიძლიათ მიაბაროთ თურქულ სკოლაშიო. რაკი თურქული სკოლა ყველა საგნებს, თურქულად ასწავლის მოწაფეებს, ხსენებული რჩევა იქმნებოდა დასტური დაგვეცა თურქული იმპერიალისტური პოლიტიკისთვის, რომელიც ისლამის სახელით ქართველთ გაოსმალებას ისწრაფვის, ეს იქმნებოდა ქართულ სკოლებში აღგვედგინა ისევ რუსულად სწავლება და ქართველი ბავშვების სული გადასაგვარებლად ჩაგვეგდო იმპერიალისტ რუსის პედაგოგთა ხელში, არც ოსმალური არც არაბული, არც სპარსული და არც თათრული, თქვენი სამშობლო ენა არ არის. ოსმალური ენა იყო პოლიტიკური ხოლო არაბული ენა სარწმუნოებრივ ბატონობის გამავრცელებელი იარაღი ასე რომ თქვენთვის, როგორც მუსლიმანი ქართველებისთვის მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს მხოლოდ არაბულ ენას, როგორც რელიგიის ენას. მაგრამ დღეს თქვენი საფუძველი თქვენს ეროვნულ სარწმუნოებრივ ცხოვრებაში უნდა იყვეს ქართული კულტურა და ქართული ისლამი, ე. ი. ისლამის ქართულად ახსნა, თარგმანება და ქადაგება არაბული ენის ცოდნით გამტკიცებული. უცხო ენების სწავლა თუნდა არაბულისა არ უნდა გადაიქცეს თქვენი გადაგვარების იარაღად. თქვენი ქვეყნისვე შვილი X—XI საუკუნის ქართველი მოღვაწე ექვთიმე ათონელი ბერძნული ენის და მწერლობის ჩინებული მცოდნე იყო ასე რომ ბერძნულ ლექსებსაც კი სწერდა, მაგრამ სამშობლო ქართული ენაც შეისწავლა და შეიქმნა უდიდესი ქართველი მწერალი, რომელმაც თავისი საკუთარი, თუ ნათარგმნი ნაწერებით მორწყო საქართველო. შოთა რუსთაველი (13 საუკ.) რომელიც მუსლიმანი ქართველების აზრით, მუსლიმანი ყოფილა, ზედმიწევნით მცოდნე იყო არაბულ-სპარსული ენებისაც, მაგრამ იმავ დროს იყო უდიდესი ქართველი მოშაირე და მცოდნე ქართული ენისა, რასაც ჰმოწმობს მისი უკვდავი ვეფხის-ტყაოსანი. ყოველ შემთხვევაში მეჯლისი ვალდებულია შექმნას ქართული კულტურა და ქართული სახელმწიფოებრიობა ისლამის ნიადაგზე რაიც შემაერთებელი ხიდი უნდა იყვეს საქართველოსი აღმოსავლეთის მაჰმადიან ქვეყნებთან.

რაც შეეხება საზოგადოებრივი ცხოვრების მოწყობას რის ავკარგიც თქვენი საქმე უნდა იყვეს, თქვენ უნდა გაკითხებოდეს ავტონომიის ძალით, უნდა აღიაროთ, რომ კარგად გაგებული ისლამიც ხელს თუ არ უწყობს არც უშლის სოციალისტური აზროვნების განვითარებას. თუნდაც იმ საკითხში, რომელიც ეხება მიწის ვითარებას და მის სარგებლობას ყურანის, იმ თავებსა და მუხლებში, რაიც განსაზღვრავს მიწის დამუშავებას, პირდაპირ ნათქვამია, მიწა ეკუთვნის ღმერთს, მიწას ღმერთი ანაწილებს მშრომელთა შორის მათი შრომის შესაფერად. ამის წინაშე დამპირდა იმისთვის, რომ მიწის სარგებლობის საკითხი წინა მეჯლისაც მოვაგონე რიცა მუსლიმანი მშრომელი ხალხის, უწყებების თათბირზე, ვსწერდი გაზეთ „სახალხო საქმეში" და იმისათვისაც, რომ მეჯლისის ახლანდელი შედგენილება, როგორც ოფიციალური ცნობა იყო, არ ერიდება სოციალისტურ წესებსაც.

ქართული სახელმწიფოებრივი ცხოვრების მოსაწყობად სამუსლიმანო საქართველო უფრო ხელსაყრელ მდგომარეობაშია ვიდრე საქრისტიანო საქართველო, რომლის სახელმწიფო მართვა გამგეობის მრავალ დაწესებულებასაც სათავეში, თუ წელში, მოჰქცევია არა ერთი უცხო ტომელი, უცოდინარი ქართული სახელმწიფო ენისა და ცხადლივ, თუ ჩუმად უარ მყოფელი ქართული სახელმწიფოებრიობისა.

გაუმარჯოს ავტონომიურ სამუსლიმანო საქართველოს და მის მეჯლისს.

გაუმარჯოს მუსლიმან და ქრისტიან ქართველთა ძმურ კავშირსა და მათი ინტერესების ერთობას.

პეტრე მირიანაშვილი.

## ჩვენი არსებობა

3.

**ჩვენ ახალგაზრდობას.**

მეორე წერილში ჩვენ აღვნიშნეთ, თუ როგორი უნდა იყოს ჩვენი პოზიცია საგარეო პოლიტიკაში ჩვენ იქ ვთქვით, რომ პატარა ერის პოზიცია დიდ ისტორიულ ბრძოლაში, როდესაც მსოფლიოს ბუმბერაზი ძალები ერთმანეთ ეჯახებიან, უნდა იყოს მიმართული ერის ფიზიკური გადარჩენის, ეროვნული ძალის მაქსიმუმის შენარჩუნებისაკენ. ეხლა უნდა გადავიდეთ საქ. სოც. რესპუბლიკის კონსტიტუციაზე, საბჭოთა სისტემაზე. საბჭოთა სისტემა—სახელმწიფოს კონსტიტუცია.

რა არის კონსტიტუცია თავის თავად? როგორი არის ის ფაზა, რომელსაც კონსტიტუცია ემყარება.

ფორმალური და იურიდიული განმარტება კონსტიტუციისა შემდეგია: კონსტიტუცია არის სახელმწიფოს ძირითადი კანონები, ან და იგი წარმოადგენს ურთიერთობის პირობებს, რომელიც არის ამა თუ იმ სახელმწიფოს ხალხსა და ხელისუფალთა შორის. მაგრამ ჩვენ გვაინტერესებს კონსტიტუციის ფაქტიური შინაარსი.

ფაქტიურად, ყოველი კონსტიტუცია არის, რეალ ძალთა განწყობილება ამა თუ იმ სახელმწიფოში. როგორიც არის სიძლიერე კლასების თუ წოდების, ისე არის კონსტიტუციის უფლებრივი ნორმები ამა თუ იმ კლასისათვის.

როგორია საქართველოს სინამდვილე ამ მხრივ? როგორი შეიძლება იყოს ჩვენი კონსტიტუცია?

საქართველოს უდიდესი პროცენტი, მშრომელ მასას წარმოადგენს, აქ შესაძლებელია ისეთი კონსტიტუცია, რომელიც დამყარებული იქნება, ამ რეალ ფაქტზე. ამნაირად საბჭოთა სისტემა, ჩვენში განსაკუთრებულ ხასიათს ღებულობს. იგი უმცირესობის ბატონობის ნაცვლად, უმრავლესობის ბატონობად იქცევა. მაშასადამე საბჭოთა სისტემა მიიღებს ხასიათს გლეხურ-მუშური ძალაუფლებისას. ამ მხრივ ჩვენთვის ის მისაღებია. ჩვენს რეზოლიუციაში (მთავარი კომიტეტისა და საპროფესიო ორგანიზაციათა წარმომადგენლების რეზოლიუციაში) ეს გარკვეულად არის აღნიშნული: „აღიარის საბჭოთა სისტემა, როგორ ფორმა ქართველ მშრომელთა ეროვნული სუვერენობის და პოლიტიკურ ბატონობის გამტკიცების".

ამასთანავე, აღსანიშნავია ისიც, რომ ჩვენ წმინდა წყლის პარლამენტარისტები არა ვართ, ჩვენს სოციალური გარდაქმნა არ წარმოგვიდგენია არც პარლამენტის დეკრეტებით და არც მხოლოდ შეიარაღებული თავდასხმით ბურჟუაზიის მიმართ. ჩვენი შეხედულებით, სოციალური რევოლიუცია არის ხანგრძლივი პროცესი, რომელიც ემყარება მუშათა და გლეხთა სინდიკატებს, ასოციაციებს, საბჭოებსა და სხვათა ზრდას განვითარებას.

დემოკრატიზმი, როგორც აუცილებელი საფეხური სოციალისტურ სამეფოში გადასასვლელი და პარლამენტარიზმი, როგორც ფორმა დემოკრატიული სახელმწიფოს კონსტიტუციისა, ჩვენთვის არ წარმოადგენს გზას სოციალური გარდაქმნისა. პარლამენტარიზმი საშუალება იყო პროპაგანდისა, აგიტაციისა.

ასეთია ჩვენი შეხედულება პარლამენტარიზმზე, თუ გაკვრით და ზერელედ აღვნიშნავთ. მაშასადამე, ჩვენ კონსტიტუციის საკითხშიაც არავითარი არაფერი არ დაგვეთმობა. ჩვენი კატეგორიული მოთხოვნილებაა, რაც შეიძლება მალე მოხდეს საბჭოთა არჩევნები, რევკომები არ იქნეს უზენაესი ორგანო, არამედ ხალხმა, საბჭოს სახით თავისი სიტყვა და იგი იქნეს ქვეყნის უზენაეს კანონად აღიარებული.

დღეს, ბევრი მეტად მნიშვნელოვანი საკითხი სდგას ქართველი ხალხის წინაშე, ბევრი მნიშვნელოვანი საკითხი უკვე გადაიჭრა ეს კი ხალხის წარმომადგენლობისა, ხალხის, საბჭოს ნებით უნდა ხდებოდეს.

ამგვარად, ჩვენ გავარკვიეთ თუ, როგორი შეიძლება იყოს ჩვენი ტაქტიკა დღეს. მაგრამ ჩვენთვის საჭიროა, უპასუხოთ კიდევ რამდენიმე კითხვაზე, რომელსაც გვეკითხებიან ჩვენი მოწინააღმდეგენი. ეს არი პოლიტიკური პასუხისმგებლობის გაზიარება.

შეგვიძლია ჩვენ პასუხის მგებლობის გაზიარება თუ არა? რას ნიშნავს პოლიტიკური პასუხისმგებლობის გაზიარება?

მართალია ის გარემოება, რომ დღეს ჩვენში ბევრი ისეთი რამ ხდება, რასაც ჩვენ პასუხისმგებლობას ვერავითარ შემთხვევაში ვერ გავიზიარებთ. ყველა ის დიდი საკითხები, რომელიც გადაიჭრა საბჭოების დაუკითხავად და აქვს ძირითადი საკითხების ხასიათი რკინის გზის გაერთიანება, საზღვრები, პროფ. კავშირების საქმე და ათასი სხვა, რომლის წინააღმდეგ ჩვენ ვიბრძოდით ჩვენ საზარალოდ მიგვაჩნია ქართველი ხალხისათვის და მაშასადამე პოლიტიკურ პასუხისმგებლობას ამ ნაბიჯებზედ ვერც გავიზიარებთ.

მაგრამ კითხვის ასე დაყენება არ არის სწორი. ჯერ საჭიროა ვიცოდეთ რას ნიშნავს პოლიტიკური პასუხისმგებლობის გაზიარება? ეს ნიშნავს იმას რომ პასუხისმგებელი გახდე რასაც ხელისუფალნი გააკეთებენ? რასაკვირველია არა.

პოლიტიკური პასუხისმგებლობის გაზიარება ნიშნავს, რომ პასუხისმგებლად აღიარო თავი იმ მოვლენების მიმართ, რომელსაც ბრძოლას არ უცხადებ, რომელსაც არ ეწინააღმდეგები ძალადობით, ჩვენ ვიზიარებთ პოლიტიკურ პასუხისმგებლობას, ქართული ენის სახელმწიფო ენად დატოვებისათვის, ვიზიარებთ პასუხისმგებლობას ქარ. უნივერსიტეტის სახელმწიფო უნივერსიტეტად დატოვებისათვის, ქართული ლაშქრის შექმნისათვის, საბჭოების მოწვევისათვის და ყველა იმ მოთხოვნილებისათვის, რასაც აყენებდა სოც.-ფედერალისტთა პარტია პრესაში და რისთვისაც იბრძოდა იგი.

მაშასადამე პასუხისმგებლობის გაზიარების შესახებ არ შეიძლება ვიქონიოთ ისეთი წარმოდგენა, რომ ვითომც ჩვენ პასუხისმგებელი ვიყოთ ყველა იმაზე, რაც ხდება საზოგადოდ.

მეორე მორიგი კითხვა, რომელიც ისევე ყველასაგან და ყოველთვის გვესმის არის შემდეგი: რა გავაკეთეთ? რას ვაკეთებთ?

მართლაც სერიოზული კითხვაა. პოლიტიკა თავისი პრაქტიკული შედეგებით არის გასაზომი. ის პოლიტიკა, რომელიც ცუდ შედეგს იძლევა, ან ვერ იძლევა ვერავითარ შედეგს, ცხადია უნდა იქნეს უარყოფილი, უნდა იქნეს თავისთავად გაუქმებული. ყოველი პოლიტიკური პარტიის არსებობას და ისე ჩვენი არსებობასაც, იმდენათ აქვს აზრი და მნიშვნელობა, რამდენადაც ჩვენ რამეს გავაკეთებთ, რამდენადაც ჩვენი მოქმედების შედეგი იქნება ქართველი ერის და მშრომელი ხალხის ინტერესების დაცვა.

საერთოდ ყოველი ლიტერატურული კომპანიისა და პოლიტიკურ პარტიის იდეიურ ბრძოლას ორი მიზანი აქვს. პირველი: როდესაც უშუალოდ გავლენას ახდენს პრაქტიკაზე, მეორე, როდესაც

ქმნის ამა თუ იმ საკითხის გარშემო ხელსაყრელ ატმოსფერას საზოგადოებაში. პირველის მაგალითი მენშევიკებისა და დღეს ბოლშევიკების მოქმედებაა, მათი იდეური და ლიტერატურული ბრძოლაა. მეორესი მაგალითი არჩილის მოღვაწეობაა. არჩილს, ისეთ უკუღმართ პირობებში უხდებოდა თავისი მოღვაწეობა, რომ ოცნებაც კი არ შეიძლებოდა მისი იდეიური ბრძოლის და იდეური შემეცნების პრაქტიკულ საქმედ ქცევისა. მაგრამ ჩვენ ვიცით, რომ არჩილების მოღვაწეობას ყოველთვის დიდი მნიშვნელობა ქონდა, აქვს და ექნება.

რასაკვირველია, აქ გაზეთის ფურცლებზე შეუძლებელია ჩვენი მოქმედების ანგარიშის გადაშლა. მაგრამ პარტია დღეს დიდ ორგანიზაციულ მუშაობას უდგება და არ დარჩება ისეთი კუთხე საქართველოში რომ მას თავისი ხმა ვერ მიაწვდინოს და ვერ უთხრას თუ რას აკეთებს და რა უნდა გააკეთოს. ერთი აშკარაა, გაბატონებულის პოლიტიკას, არა გაბატონებული ვერ შეცვლის. თუ ასეთი რამ ხდება, ეს ობიექტური პირობებისგან არის გამოწვეული მაგრამ დღეს ისეთი ხანაა ჩვენი ერის ცხოვრებაში, რომ კორექტივების შეტანაც კი დიდ ეროვნულ საქმის კეთებას უდრის.

ხერ. ამაღლობელი.

# მუშათა წერილები

## მუშები გარბიან

დარწმუნებული ვართ, ცნობის მოყვარე ხკითხველი უეჭველად იკითხავს —მუშები გარბიან? როგორ თუ გარბიან? სად, ან რათ გარბიან? ჩვენ ვამბობთ, რომ გარბიან, დაბ, გარბიან და ეს გაქცევა მიუხედავად იმისა რომ დღეს მასიურ ხასიათსა ღებულობს, ისე შეუმჩნევლად ხდება საზოგადოდ და კერძოდ მუშათა ცხოვრებაში, რომ ამ არაჩვეულებრივ მოვლენაზე არავინ არაფერს არ ამბობს და უველა სდუმს ისე, თითქოს აქ არაფერი მომხდარიყოს ან და არაფერი ხდებოდეს.

დარჩებიდან მუშათა წასვლის მიზეზი უამლავსთ უველასთვის ცნობილი მუშათა ეწვავე ეკონომიური საკითხი.

დღეს ძალიან ბევრსა ლაპარაკობენ ჩვენი ქვეყნის საათაკო სიძვირეზე და ამასთანავე იმასაც დასძენენ, რომ საქართველოში მენშევიკების მთავრობის დროის „სამოთხე“ სუყვავდა ბოლო ბოლშევიკების შემოსვლის შემდეგ კი „ჯოჯოხეთი“ დამყარდა. ასეთი ანალოგიური შედარება და დაპირდაპირება ორი მომენტისა ჩვენი საზოგადოების მიერ—ზერელე შეხედულებით შეიძლება მართალი იყოს, მაგრამ ვინც კი ახლო სდგას მუშათა და მშრომელთა კლასთან და იცნობს მის ეკონომიურ პირობებს —უველა დაგვეთანხმება რომ პირუთვნელი მოქალაქე ასე არ იმსჯელებს. დახუჭული თვალებით მომენტის შეფასება არც განდგომილობით და არც ზერელობით არ შეიძლება. ჩვენ ამითი იმისი თქმა კი არ გვინდა ვითომც დღეს ჩვენში უკეთესი და ხელსაყრელი პირობები იყოს, ვიდრე ოდესმე, არა. ჩვენ იმას ვამტკიცებთ, რომ მენშევიკების „სამოთხე“ ბოლშევიკების „ჯოჯოხეთისაგან“ ოდნავადაც არ განსხვავდება მშრომელთა კლასის ინტერესების მიხედვით. დიახაც კარგი იყო მენშევიკური „სამოთხე“ არა საქართველოს მთელი მუშათა კლასისთვის, არამედ მის გამონაკლის ნაწილისთვის ეგრედწოდებულ „ყვითელი“ მუშებისთვის.

სამწუხაროდ ჩვენი ახალი ცხოვრება, ჩვენთვის, მუშებისათვის,—პირთაპირ ამოცანად არის გადაქცეული.

დღეს საქართველო გამოცხადებულია გლეხთა და მუშათა ქვეყნად, ამასთანავე აღიარებულია პროლეტარიატის, ან უკეთ რომ ვსთქვათ მშრომელი ხალხის დიქტატურა. კომუნისტურ ქვეყნებში ჩვენთვის სავსებით გასაგებია შრომის პრინციპის კლასთა შორის თანასწორად განაწილება—ვინც შრომობს იმას უველაფერი—ვინც არ შრომობს იმას არაფერი. ჩვენის აზრით ეს დებულება არავისათვის საიდუმლო არ უნდა იყოს, ვინაიდან ეს ბუნებრივიც არის სამართლიანობის თვალსაზრისით.

მუშათა კლასს ვერავინ ვერ უსაყვედურებს ზარმაცობას, ვერავინ ვერასოდეს ვერ გაბედავს სთქვას, რომ მუშა ხალხი არა შრომობს. დღევანდელი მსოფლიოს ეკონომიური კრიზისი გამომდინარეობს სწორედ იქიდან, რომ შეჩერებულია წარმოება და მთელი მშრომელთა დიდი ნაწილი ჩართული ჰყავთ ბრძოლაში. ჩვენ ვფიქრობთ; საკმარისია განვიარაღოთ ჯარები, დაიყვანოთ იგი მინიმუმამდე, დავუბრუნოთ წარმოებას და მშვიდობიან ცხოვრებას საგრძნობი ნაწილი იმ მშრომელი ხალხისა, რომელიც დღეს უქმად არის გაჩერებული და თქვენ დაინახავთ, რომ სულ მოკლე დროში განვითარდება წარმოება შრომისა. ცხადია, რომ თუ მუშათა კლასმა არ იშრომა, ქვეყნიერებას არ შეუძლიან სიცოცხლე. მას მოელის საშინელი სიმშილი კატასტროფამდე.

ცხადია, რომ უმთავრესი ფაქტორი ჩვენი ცხოვრებისა არის მუშათა კლასი. ვერავითარი ყაიაბოზა და ჰიროვეულობა, ვერავითარი ლათაიები და კერძო შეხედულება ამ ჭეშმარიტ ფაქტს უკუღმა ვერ შეატრიალებს. და როდესაც ჩვენ ვამბობთ ხოლმე რომ ყველაფერი მუშათა კლასს, ყველაფერი მშრომელებს!— ეს უბრალო სოციალისტური გატაცებით და მუშური ეგოიზმით კი არ გვემართება, არამედ ცხოვრების დაკვირვებით და იმ სინამდვილის კარნახით, რომელსაც მუშები ყოველ დღიურად განვიცდით ქარხანაში დაზგებთან.

განა წარმოიდგენს ვინმე ისეთს შესაძლებლობას, რომ საჭრელ დანას კბილები დაუჩლუნგდეს, არ გავლესოთ და მან ბასრი ძალით გასჭრას რამე? განა შეიძლება, რომ მანქანას არ მოუაროთ, მტვერი არ გადავაცალოთ, ზეთი არ მოვცხოთ და იგი ნორმალურად ამუშავდეს? ცხადია, რომ შეუძლებელია და ადამიანი ხომ მანქანაზე უფაქიზესი და ნაზი ელემენტია? მაშასადამე აქაც ანბანურ ჭეშმარიტებასთანა გვაქვს საქმე:— მშრომელ ხალხს უნდა გაუფრთხილდეთ; უნდა ავაცდინოთ იმ გადაშენების გზას, რომელსაც იგი ძსოფლიო ომების დაწყების დღიდან ფაქტიურად დაადგა; უნდა გადავარჩინოთ მუშათა კლასი, ეს უმთავრესი იარაღი ეკონომიკისა რათა თავი დავაღწიოთ დღევანდელ დუხჭირ პირობებს და ვიხილოთ კვლავაც ნორმალური და მშვიდობიანი ცხოვრება.

რაც მსოფლიო ომი შესწყდა და მის მიერ განადგურებული ხალხის სიმდიდრის აღმოჩენა კაცობრიობამ იგემა, იმ დღიდან დაიწყეს შერყეულ და შეჩერებულ წარმოება-მრეწველობაზე ფიქრი: ბევრს ლაპარაკობენ, სწერენ,ადგენენ დიდ გეგმებს, ფიქრობენ ახალ სისტემებზე, საშუალებებზე, სასტიკ ზომებზე, პრემიალობაზე, — სცემენ დეკრეტებს, მაგრამ ფიქრები და გეგმები ფაქტად რჩება და რეალობას ფაქტიური საფუძველი ვერ დაედვა.

მართლაც და, არის თუ არა რაიმე ზომები და ნაბიჯები გადადგმული ნამდვილ საქმიანობის სისრულეში მოსაყვანად?—საზედნიეროდ ჰო. მაგრამ სამწუხაროდ ძალიან ნაკლები და ამასთანავე ერთი უმთავრესი გარემოება არის დავიწყებას მიცემული; სახელდობრ მუშათა კლასის ფიზიკურ მზრუნველობაზე და მის გადაშენებისაგან გადარჩენაზე.

ჩვენ შეგვიძლიან კანცელიარიებში მოხელეთა შტატი შევამციროთ, მაგრამ ჩვენ არ შეგვიძლიან ასევე მოვიქცეთ წარმოებაში. წარმოებაში ოილიზაცია არ დაიშვება, პირიქით, წარმოებაში მუშათა შტატები არა თუ უნდა შეივსოს —უნდა გაძლიერდეს ორმაგად.

დღევანდელ ხელისუფლების შემოქმედებაში ჩვენ ვამჩნევთ ასეთ ნაბიჯებს და გეგმების განხორციელებასაც მხოლოდ ჩვენ ვამჩნევთ იმ დიდ ნაკლსაც, რომელიც ჩვენში ძალიან დიდ გაკვირვებას და, თუ გნებავთ გაუგებრობასაც იწვევს.

ეს გახლავთ მუშათა ეკონომიური კრიზისის საკითხი და მისი გამოკვების საქმე.

ყოველი მთავრობა და საზოგადოებაც ახლო მომავალში მოელის წარმოებიდან ნორმალურ ნაყოფის გამოღებას რათა თავი დაახწიოს ამდენი წლის დუხჭირ ცხოვრებას, იქმაროს ამდენი სიცივე, სიშიშვლე და სიმშილი. მაგრამ ძალიან ცოტა ზომებს ღებულობენ რათა რათა მუშათა კლასი, ეს მთავარი მამოძრავებელი და ცოცხალი ძალა ნორმალურად გამოკვებოს იმ მთავარი და აუცილებელი პირობისათვის, რომ მან სამაგიერო ნაყოფი გამოიღოს. რას ვხედავთ დღეს მუშათა ეკონომიურ ცხოვრებაში? აქ დასამალი არაფერია: მუშები დღეს ნამდვილ სიმშილს განიცდიან და ეს მოვლენა მუშათა ცხოვრებაში ახალი ამბავი არ არის. ამ სამწუხარო ამბავმა მუშები ისე ღრმად ჩაფიქრა რომ ილაჯ-გაწყვეტილმა რაკი დაინახა რომ მასზე თავგამოდებით არავინ არა ზრუნავს—თვითვე „გამოსძებნა“ ხსნის გზა. რა გზა არის ეს გზა? ეს არის გზა სპეკულიაციისა ეგრედწოდებულ „მეშოჩნიკობის“ სისტემით. ამ „ხელობამ“ ისე წაათამამ-წაახალისა მუშები რომ ბევრმა დღეს მართალ ხელობაზე ხელი აიღეს და ამ წამრყვნელ და გამათახსირებელ გზის უფსკრულში ჩაეშვნენ.

ამას დღეს სამწუხაროდ სისტემატიური და ფართე სახე მიეცა და ბევრი მუშა დღეს, რომლებიც შეებულებაში გამომდინარეობენ, აღარ უბრუნდებიან წარმოებას. ბევრმა მუშამ ავადმყოფობის სახით მოახერხა თავის დაღწევა და ბევრი მუშებიც დღეს ნამდვილი სიმშილის ნიადაგზე დასნეულებულნი სავადმყოფო კასების მზრუნველობაში იმყოფებიან და ამის შემდეგ როდესაც მუშათა და მშრომელთა კლასის დიდი უმრავლესობა ნებით თუ უნებლიეთ მიდიან წარმოებიდან და ფაბრიკა ქარხნები იცლება და იქსაქსება მუშათა მწყობრიდან, შეიძლება თუ არა რომ ვიფიქროთ წარმოების ნორმალურ პირობებში ჩაყენებაზე რათა ჩვენი ქვეყანა და ხალხი გადავარჩინოთ დაღუპვისა და გადაშენებისაგან? რა თქმა უნდა არა. ამის შემდეგ ყველა დაგვეთანხმება, რომ წარმოების აღორძინებაზე ფიქრი, ნუგეში და იმედი არა თუ ახლო, არამედ შორეულ მომავალშიაც მხოლოდ ფიქრად დარჩება თუ ახლავე არ იქნა რადიკალური ზომები მიღებული.

მოკლედ: ჩვენ ვამბობთ, რომ დღეს მუშათა კლასი განიცდის ნამდვილ სიმშილს და ამ მიზეზით, ნამდვილად სიმშილის მიზეზით გარბიან ქარხნებიდან და ეწევა „ვაჭრობას“ ეწევა სამარცხვინო მეშოჩნიკობას რათა ამ გზით მოგებული „ტილიაჩებით“ იხსნას თავისი თავი და თავისი ცოლშვილი დღევანდელ აფთარ სიმშილისაგან.

მუშათა კლასმა შეგნებულად იცის, რომ ეს გზა ცუდია, მაგრამ მან ისიც იცის რომ ის გულუბრყვილო მსხვერპლია ამ სამარცხვინო საქციელისა.

დღევანდელი ჩვენი ქვეყნის ხელისუფლების პირდაპირი მოვალეობაა პროფკავშირების დახმარებით ეს პროცესი შეაჩეროს.

ამას მოითხოვს რევოლიუციის გამარჯვების ინტერესი.

მუშა დ. მელია.

# ახალი ამბები

— კამერული ხადამო. ორშაბათს 29 6 ხელოვანთა სასახლეში (სერგიევის ქ. № 13) საქართველოს ხელოვანთა კავშირის მთავარი კომიტეტი მართავს პირველ კამერულ სადამოს, საუკეთესო არტისტულ ძალთა მონაწილეობით.

დაესწრებიან კავშირის წევრნი და მოწვეული სტუმრები.

— კვირას 26 ივნისს დღის 12 საათზე სახელმწიფო უნივერსიტეტის მთავარ შენობაში დიაგნოსტიური კლინიკის ასისტენტი მ. წინამძღვარიშვილი დაიცავს სამეცნიერო ხარისხის მისაღებათ დისერტაციას შემდეგ თემაზე: „მასალები ხონდროიტინ-გოგირდ-მჟავის ქიმიისა და შარდში ამომჩენის შესახებ მუცლის ტიფის დროს“ ოფიციალურ ოპონენტებათ გამოვლენ პროფესორები ა. ალადაშვილი და ვ. მალიენიკი.

— აფეთქება საარტილერიო ყუმბარებით დატვირთულ ვაგონებისა. ივნისის 17-ს დღის 2 ნახევარ საათ. ტფილისის მოსახლეობა შეაშფოთა საკმაოდ მძლავრმა საარტილერიო ყუმბარების აფეთქებამ, რომელიც მოხდა რკინის გზის ლიანდაგზე არსენალის წინ. როგორც გამოირკვა ცეცხლი შემთხვევით გაჩნდა ორ ვაგონში, რომელშიაც ეწყო საარტილერიო და ჰაეროპლანიდან სასროლი ცეცხლის გამჩენი ყუმბარები. ეს ორი ვაგონი შედიოდა სხვა სამხედრო მასალიან 6 ვაგონის შემადგენლობაში, რომელიც იდგა რკინის გზის ჩიხში არსენალის წინ. ცეცხლი გაჩნდა ორ უკანასკნელ ვაგონში, რომელშიაც იყო რამოდენიმე პიროქსილინი და იმის წყალობით, რომ პიროქსილინი იყო სველი იგი დაიწვა და ერთბაშად არ აფეთქდა. იქ მოსულმა ხელის უფლებმა გამოარკვიეს, რომ დაუწვავი სამი ვაგონი დატვირთული იყო სასანგრე იარაღებით და ამიტომ ქალაქის ცეცხლის მქრობელ რაზმის დახმარებით ცეცხლი ჩააქრეს. სულ მოხდა 70-მდე აფეთქება, ამასთანავე ამ აფეთქების დროს მოკვდა დარაჯი საქართვ. წითელ ლაშქრ. № რაზმის ჯარის კაცი ამხ. ვასილ ნოზაძე და გიორგი დონხაძე, რომელთაც არ დასტოვეს თავიანთი სადარაჯო და დაიღუპნენ გმირული სიკვდილით, აგრეთვე დაიჭრა ფეხში ამავე რაზმის ჯარის კაცი საბიაშვილი და დაიწვა დარაჯი გამჯიაშვილი.

ყუმბარების ნატეხები აფეთქების დროს იფანტებოდა ცეცხლის გარშემო, მაგრამ უბედურება არავისთვის მიუყენებია, აღნიშნულ დარაჯთა გარდა, ცეცხლის ჩაქრობაში ცეცხლის მქრობელმა რაზმმა გამოიჩინა განსაკუთრებითი თავგანწირულება. რაზმის უფროსი ბერიძე მსუბუქათ დაიჭრა ცხვირში.

# რადიო

## ხაქვეყნო ხატყეო მეურნეობა.

მოსკოვი. მოსკოვის სატყეო-ტექნიკურ ინსტიტუტში იყო გაკეთებული მოხსენება თანამედროვე საქვეყნო სატყეო ბაზრის მდგომარეობის შესახებ. ამ მოხსენებიდან გამოირკვა, რომ იმდენ ხე-ტყის მასალას რომელსაც აწვდიდა რუსეთი საქვეყნო ბაზარს ვერც ერთი ქვეყანა ვერ აწვდიდა. ამ მხრივ რუსეთის როლის საქვეყნო სატყეო ბაზარზე დარჩა შეუცვლელი. ევროპის სახელმწიფოებში ხე-ტყის შეტანა ძალიან შემცირდა: ინგლისმა მიიღო 1919—20 წ. მხოლოდ 63 პროც. რიცხვისა, რომელსაც ღებულობდა 1914—15 წ. გასული წლის ერთ მესამედში თან და თან მოსჩანდა ხე-ტყის შეტანის შემცირება ინგლისში. საქვეყნო სატყეო ბაზრის მდგომარეობა საერთოდ უმოქმედო და შერყეულია. სახერხი ქარხნები შვეციაში და ფინლიანდიაში თითქმის ყველა გაჩერებულია და რომელიმე თუ მუშაობს, ისიც ძალიან სუსტად. ამ მხრივ რუსეთს შეუძლიან დაიკავოს პირველი ადგილი საქვეყნო ბაზარზე და თავისუფლად შეუძლია ნაწილი გაიტანოს ევროპაში, რადგანაც ისინი ძალიან დაინტერესებულნი არიან რუსის ხე-ტყის, როგორც საუკეთესო დირსებისა.

## კომუნიზმი ხაფრანგეთში.

პარიჟი. გაზეთი „უმანიტე“ ეხება რა კომუნისტების გასამართლებას პარიზში სწერს: საფრანგეთის მთავრობას კიდევ ახსოვს ის გაკვეთილი, რომელიც მიიღო უკანასკნელ სამ პროცესში კომუნისტების გასამართლების დროს, ამისათვის შესწყვიტა კომუნისტების გასამართლება რადგანაც ეშინიან მათი პროპაგანდის საქმის გარჩევის დროს სასამართლოში. საფრანგეთის მთავრობამ მისცა ციხიდან განთავისუფლებულის ამხ. ზალევსკის წინადადება რომ მას დაეტოვებია საფრანგეთის ტერიტორია დაუყონებლივ. შვეიცარიის წარმომადგენელმა მისცა მას პასპორტი იმ პირობით რომ ის, როგორც საშიშარი ბოლშევიკი არ გაჩერდება „თავისუფალ რესპუბლიკაში“. გამგზავრებისას სადგურში შეგროვდნენ აუარებელი კომუნისტები გასაცილებლად. მატარებელი დაიძრა და გაისმა ერთსულოვანი ყიჟინა. გაუმარჯოს საბჭოთა რუსეთს. ამხ. ზალევსკი მიუხედავად შვეიცარიის წარმომადგენლის პასპორტისა როგორც კი გადმოვიდა ჟენევის სადგურზე დააპატიმრეს და მოათავსეს წმინდა ანტონის ციხეში. საფრანგეთიდან წამოსვლის წინა დღით გაზეთ „ჰუმანიტეში“ იყო მოთავსებული კომუნისტების წერილი საფრანგეთის მუშური მთავრობის მიმართ, რომელმაც ვერ გადაწყვიტა კომუნისტების სამართალში მიცემა.

მთავრობას მეტი არა დარჩენოდა რა რომ გაეცა ბრძანება დახეტის შესახებ. გამოძიება შეწყვეტილ იქმნა. მაგრამ სწორედ ეს ფაქტი ამტკიცებს რომ კომუნისტური პარტია ძალაა, რომელიც ბურჟუაზიამ იცნო.

## კომუნისტური აგიტაცია ფინლიანდიაში

ჰელსინგფორსი. ბიერნებორგის რაიონში ყველგან გაკრულ იყო პროკლამაცია გაფიცვის მოწოდებით, მოითხოვენ კავშირისა და კრების თავისუფლებას კომუნისტებისათვის. პოლიტიკურ ამნისტიას, [illegible] ნტროლს და სხვ. პროკლამაციაში მოითხოვენ [illegible] მოღებას ფინლანდიაში.

## კომინტერნის მიზანი

კომუნისტურ ინტერნაციონალის კონგრესის მიზანს შეადგენს—ჩაუნერგოს პროლეტარიატს აუცილებელი რევოლიუციონური გაბედულობა და სიმტკიცე მსოფლიო კაპიტალიზმთან ბრძოლაში. ეს საქმე არც ისეთი მარტივია მსოფლიო მასშტაბით, როგორც ეს მიაჩნდათ ზოგიერთებს ორი წლის წინად პროლეტარიატის ყველაზე უფრო დაჩაგრული, ყველაზე უფრო უკან დარჩენილი წრეები იჩენენ იმ ბუმბერაზულ გადატრიალებაში, რომელიც მოახდინა ომმა, უდიდეს რევოლიუციონერობას და უდიდეს მოუთმენლობას, რომელსაც წრეები. (დამახინჯებულია) ფრთხილათ უფრო თავ დაჭერილად აჩენენ რამდენადმე თავის კონსერვატიზმსაც. ქალის მონაწილეობა დაქირავებულ შრომაში ომისა და რევოლიუციის დროს მეტის მეტად გაიზარდა; ქალების რევოლიუციონურ მოძრაობას დიდი მნიშვნელობა აქვს კლასთა ბრძოლის განვითარებისათვის. ჩვენ უფრო ძლიერ უნდა განვავითაროთ და გავარღმაოთ ჩვენი რევოლიუციონური მუშაობა საერთაშორისო მასშტაბით და გავავრცელოთ იგი არა თუ მარტო დასავლეთსა და აღმოსავლეთში, არამედ ყველა დანარჩენ კოლონიალურ ქვეყნებშიც, რომლების იმედი ყველაზე მეტი აქვს ამ ქამად საერთაშორისო იმპერიალიზმს, ჩვენ უფრო გავძლიერდით. მიუხედავად იმისა, რომ საქმე უფრო მძიმედ ვითარდება, ვიდრე ჩვენ გვეგონიან, ჩვენ ამ წელიწადში გაცილებით უფრო ძლიერები შევიქენით. ჩვენ თავიდან მოვიშორეთ ზოგიერთი ილიუზიები, მსოფლიო რევოლიუციის მეტის-მეტ სწრაფი ტემპის შესახებ. მაგრამ ჩვენი ორგანიზაციები გაიზარდნენ და გამაგრდნენ, მათ ხელში ჩაიგდეს ახალი ქვეყნები და პროლეტარიატის ახალი წრეები, მაგრამ ჩვენ მტრებსაც როდი ეძინათ და ეს ამტკიცებს, რომ ბრძოლა იქნება მედგარი და რომ ეს ბრძოლა მოითხოვს ძალთა კოლოსალურ (გაჭიმვას) პროლეტარულ მოძრაობის ყველა შემადგენელ ნაწილების ზედ-მიწევნით და მოხერხებულ გამოყენებას.

რედაქტორი ივანე ლორთქი.
გამომცემი დრ. მთავარი კომიტეტისა.

**დაჰკარგე** მეტრიკული მოწმობა და განთავისუფლების მოწმობა მიცემული სამხედრო უფროსისაგან № სილიბისტრო იოსების ძე გუგეშაშვილის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად.

**დაჰკარგე** სასურსათო წიგნაკი 4 სულ. № 11018 თამარა ზ.ქ. ბაზიერაშვილის სახელზე. მოცემული ტფილ. მთავარ სამმართ. განყოფილებისაგან, რაც გაუქმებულად უნდა ჩაითვალოს.

**დამეკარგა** ქალი 12 წლისა, ივნისის ორს, სახელად ჰქვიან (ღვჭერნი) ვერა. აცვია თეთრი ჩითის კაბა და ამავე ნაჭრის დახეული წინსაფარი, ფეხშველა. მოკლე შავი თმები აქვს. ვთხოვ თუ ვინმე რამე იცის ამ. ბავშვის შესახებ მაცნობონ ჩვენ მშობლებს რიყეზე, მოედანი № 7, ალიმ კუჭაევს ან მე-8 მილიციის უბანში.

**დაჰკარგე** პირადობის მოწმობა, მოცემული სახელმწიფო უნივერსიტეტიდან სტუდენტ კონსტანტინე თეიმურაზის ძის კუსიანის სახელზე, რაიც უნდა ჩაითვალოს გაუქმებულად.
1070 სტ. კონსტანტინე კუსიანი.

**დაჰკარგე** პასპორტი ისაკ მელოპელინცის სახელობაზე, რომელიც გაუქმებულად უნდა ჩაითვალოს. 1072

ტფილისში მყოფს ამხ.
**კაპიტონ ლევ. ვაშალომიძეს**
ვსთხოვ შემოიაროს სახ. განათ. მთავარ პოლიტიკურ მმართველობის კანცელარიაში სეკრეტარ შავიშვილთან ლორისმელიქოვის ქუჩა.
1073 მასწ. გრიგოლ შავიშვილი.